TRC GCSD

1997 წლის

იაპონიის საელჩოს კრიზისი ლიმაში:

ჯეიმს ფ. მაკის

მოგონებები 17 დეკემბრის ტერორისტული თავდასხმის და ლორი ბერენსონის შესახებ

1997 წლის იაპონიის საელჩოს კრიზისი ლიმაში: ჯეიმს ფ. მაკის მოგონებები ტუპაკ ამარუს სახელობის რევოლუციური მოძრაობის (MRTA) 17 დეკემბრის ტერორისტული თავდასხმის და ლორი ბერენსონის შესახებ

თარგმანი:
ბექა ფარსადანიშვილი

ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC)

აპრილი, 2023

ტუპაკ ამარუს სახელობის რევოლუციური მოძრაობის (MRTA) მიერ, პერუში იაპონიის ელჩის, მორიჰისა აოკის მიერ, იმპერატორი აკიჰიტოს 63-ე იუბილესთვის ლიმაში, სან ისიდროს დიპლომატიურ რეზიდენციაში, 1996 წლის 17 დეკემბერს ორგანიზებულ ღონისძიებაზე განხორციელებული თავდასხმიდან 126-დღიანი ალყის შემდეგ, **1997 წლის 22 აპრილს,** რეზიდენციაში ჩატარებული კონტრტერორისტული სპეცოპერაციის შედეგად, პერუს შეიარაღებულმა ძალებმა 72 მძევალი გაათავისუფლა.

ინციდენტის შესახებ ამერიკული დიპლომატიის მემატიანე, ჩარლზ სტიუარტ კენედისთან, 2004 წლის 20 მარტს ჩაწერილ ინტერვიუში, ლიმაში ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიური მისიის უფროსის მოადგილე, ჯეიმს ფ. მაკი იხსენებს:

... ჯერ კიდევ 1995 წელს, აღნიშნულმა ჯგუფმა [იგ. ტუპაკ ამარუს სახელობის რევოლუციური მოძრაობა] პერუს კონგრესის შენობაზე კონტროლის აღების მიზნით, ამაზონის ჯუნგლებიდან ორგანიზაციის 45 მებრძოლს დედაქალაქის ცენტრალურ ნაწილში მოუყარა თავი, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქის, ლორი ბერენსონის, და მისი პანამელი პარტნიორის დახმარებით, ბინა იქირავა, რომელსაც ტერორისტული ორგანიზაცია 2 კვირის განმავლობაში შტაბ-ბინად იყენებდა. საგამოძიებო სამუშაოების ფარგლებში გასაჯაროებული ქირავნობის ხელშეკრულებიდან ნათელი ხდება, რომ ბერენსონი, მის პანამელ პარტნიორთან ერთად (რომელიც ამავდროულად პერუს კონგრესზე დაგეგმილი წარუმატებელი თავდასხმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ლიდერი იყო) და 45 სხვა პირთან ერთად, 2 კვირის განმავლობაში აღნიშნულ შენობაში ცხოვრობდა...

... ლორი პერუში ბრუკლინური გამოცემა, Third World Press-ის (ქართ. „მესამე სამყაროს პრესა“) ჟურნალისტის რანგში ჩამოვიდა ნიუ-იორკიდან. პერუს კონგრესის წევრ ქალბატონ თაუნსენდთან, პოლიტიკაში ქალის როლის თემაზე ჩატარებული ინტერვიუს შემდეგ, ლორი ბერენსონი მოძრაობის ლიდერის ცოლთან ერთად, ავტობუსში ასვლისას დააკავეს...

... თავის მხრივ, საინტერესოა სამართალდამცავი ორგანოების მიერ ტუპაკ ამარუს სახელობის რევოლუციური მოძრაობის შემთხვევითი აღმოჩენაც. როგორც ჩატარებული საგამოძიებო სამუშაოების შედეგად ირკვევა, ერთ-ერთმა მეზობელმა სამართალდამცავ ორგანოებს აცნობა შტაბ-ბინად გამოყენებულ სახლში ყოველდღიურად მიტანილი პურის უჩვეულოდ დიდი რაოდენობის შესახებ...

... ლიმას საპატრულო დეპარტამენტში აღნიშნული პირის განცხადების შესვლისთანავე, სამართალდამცავი ორგანოების და ეროვნული გვარდიის საერთო კონტრტერორისტული სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს ტერორისტული ორგანიზაციის ყველა წევრი. თუმცა, დაკავებიდან 4 თვეში პერუს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გაავრცელა ვიდეო, რომელშიც ორგანიზაციის ლიდერი [იგ. ნესტორ კერპა კარტოლინი] პერუს კონგრესის შენობის მაკეტის

ფონზე დეტალურად აღწერდა წარუმატებელი თავდასხმის გეგმას და ავრცელებდა მუქარისშემცველ შეტყობინებას, მორიგი თავდასხმის შესახებ...

... ლორი ბერენსონის დაკავებისა და პირველი წარუმატებელი თავდასხმიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ, აღნიშნული ჯგუფის 13-მა წევრმა, საველე მეთაურთან [იგ. კარტოლინი] ერთად, კონტროლი მოიპოვა იაპონიის ელჩის დიპლომატიურ რეზიდენციაზე, სადაც იაპონიის იმპერატორის 63-ე იუბილეს პატივსაცემად წვეულება იმართებოდა, რომელსაც 700 პირი ესწრებოდა. აღნიშნული პირებიდან 72, ტყვეობაში 4 თვის განმავლობაში [126 დღე] რჩებოდა...

... საგულისხმოა, რომ იაპონელისთვის იმპერატორის დაბადების დღე, იგივეა, რაც ამერიკელისთვის 4 ივლისი. ღონისძიებას კიდევ უფრო დიდ მასშტაბს პერუს იაპონური წარმომავლობის იმდროინდელი პრეზიდენტი, ალბერტო კენია ფუჯიმორი სძენდა. მაღალი რანგის 20 დიპლომატთან ერთად, წვეულებას უზენაესი სასამართლოს, ეროვნული გვარდიის და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ...

... სივრცე, სადაც ღონისძიება იმართებოდა, კუთხის აპარტამენტს წარმოადგენდა, რომელსაც მხოლოდ ერთი მხრიდან ესაზღვრებოდა სხვა რეზიდენციები, რომელთაგან ერთ-ერთში პერუში გერმანიის ჰუმანიტარული დახმარების მისიის წარმომადგენელი ცხოვრობდა. აღნიშნული პირი, იმ დროს შვებულების ფარგლებში, გერმანიაში იყო დაბრუნებული. სწორედ მისი სახლიდან მოხდა ტერორისტული ორგანიზაციის წევრების მიერ კედლებზე ასაფეთქებელი მოწყობილობების დამაგრება...

... სამართალდამცავი ორგანოების განმარტებით, თავდასხმამდე რამდენიმე საათით ადრე, ტუპაკ ამარუს სახელობის რევოლუციური მოძრაობის მებრძოლები შენობაში სასწრაფო დახმარების ფორმებში შენიღბული გამოჩნდნენ. მათ გერმანელი მაცხოვრებლის რეზიდენციის გუშაგი გაანეიტრალეს, აპარტამენტში შევიდნენ და წვეულებას დაელოდნენ. დაახლოებით საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე, აფეთქებამ ბაღის მხარეს

მდებარე კედელი დაანგრია, სადაც წვეულება იმართებოდა. აფეთქებიდან რამდენიმე წამში ტერორისტული ორგანიზაციების წევრებმა სრული კონტროლი აიღეს სამხედროებით და დიპლომატებით სავსე რეზიდენციაზე...

... როგორც მახსოვს, ტერორისტულმა ორგანიზაციის მძევლებს შორის ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს 12 წარმომადგენელი იყო. მე მათ შორის არ გახლდით, რადგან ჯეტთან **[იგ. დიპლომატი დენის კოლმან ჯეტი]** ერთად აეროპორტისკენ გავემგზავრე, საშობაოდ მისი დედის და ჩემი შვილის ამერიკის შეერთებულ შტატებში გასაცილებლად...

... წვეულების დატოვებიდან 6 წუთში აფეთქების ხმა გავიგე, რომელსაც მყისიერად მოყვა სროლა. იმ დროს, დიპლომატიური რეზიდენციიდან 6 შენობის მოშორებით ვცხოვრობდი. აფეთქებისთვის დიდი ყურადღება არც მიმიქცევია, რადგან პერუში მიმდინარე სამხედრო დაპირისპირების ფონზე, მომხდარი ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმებოდა. თუმცა, მეუღლის დაჟინებული თხოვნით, აფეთქების შესახებ შენობაში მყოფ სამხედროს ვკითხე, რომელსაც ინფორმაცია იაპონიის ელჩის რეზიდენციაზე თავდასხმის შესახებ რამდენიმე წამით ადრე ჰქონდა მიღებული...

... რეზიდენციაში მოხვედრის შემდეგ, დარჩენილი 3 კედელი ტერორისტული ორგანიზაციის წევრების დამცველ ბარიერად იქცა, ხოლო ყველა ელიტარული დაცვის წევრი, რომელსაც ევალებოდა წვეულებაზე დამსწრე პირთა დაცვა კედლებს მიღმა, უსუსური აღმოჩნდა. წარმოიდგინეთ სიტუაცია: წვეულების 700 სტუმარი, 14 ტერორისტის მიერ არის დამწყვდეული და საზარელი შიშის ქვეშ იმყოფება...

... რეზიდენციაში შეჭრიდან 4 საათის შემდეგ, თავდამსხმელებმა შენობიდან ყველა ქალი გაუშვეს, რომელთა შორის ერთ-ერთი ჩემი ოფიცერიც იყო. მან მომხდარის შესახებ ინფორმაცია გათავისუფლებისთანავე დეტალურად მომაწოდა. ვფიქრობ, თავდამსხმელებმა მძევლების დიდი ნაწილი პრაქტიკული მიზნების გამო გაათავისუფლეს. რთულია პანიკური შეტევის ზღვარზე მყოფი 700 ადამიანის მართვა, რომლებთან მიმართებაშიც, ყველაფერთან ერთად,

გასათვალისწინებელია საკვების და სანიტარიის საკითხი. ამრიგად, თავდამსხმელებმა მომდევნო კვირების განმავლობაში მძევლების გათავისუფლება დაიწყეს, სანამ ოპტიმალურ (მართვად) 72 პირამდე არ დავიდნენ, რომლებმაც ტყვეობაში 126 დღე გაატარეს. თუმცა, ჩემთვის დღემდე გაუგებარია, რატომ არ დაიტოვეს ტყვეობაში ტერორისტებმა არც-ერთი ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი, რომლებიც 1 კვირის განმავლობაში გათავისუფლდნენ. შესაძლოა, თავდამსხმელებს ამერიკის შეერთებული შტატების გაბრაზება არ სურდათ...

... მძევლად აყვანილ 700 პირს შორის, 20 მაღალი რანგის დიპლომატიც ირიცხებოდა. თავდამსხმელებმა ეტაპობრივად ყველა გამოუშვეს, გარდა ბოლივიის ელჩის, ხორხე გუმუკიოსისა. გუმუკიოს ტყვეობაში დატოვება განპირობებული იყო ბოლივიის ხელისუფლების მიერ მათი ერთ-ერთი მეთაურის დაპატიმრებით, რომლის გათავისუფლების მოთხოვნაზეც ბოლივიის ხელისუფლებამ უარი უთხრა ტუპაკ ამარუს სახელობის რევოლუციურ მოძრაობას... იაპონიის ელჩის დიპლომატიური რეზიდენციიდან ტერორისტული ორგანიზაციის წევრებმა ბოლივიის ციხიდან მათი ლიდერის გათავისუფლებასთან ერთად, პერუს ხელისუფლებას ორგანიზაციის 400 წევრის გათავისუფლება სთხოვეს. საინტერესოა, რომ გასათავისუფლებელ პირთა შორის ლორი ბენსონი სიის თავში იყო...

... ფუჯიმორი გამოწვევის წინაშე დადგა - დაეთმო ტერორისტული ორგანიზაციისთვის, რომელთან ეფექტიანი ბრძოლის დამსახურებით მან სახელი გაითქვა, ან აღმოჩენილიყო სავალალო შედეგების წინაშე. ნათელი იყო, რომ ფუჯიმორისთვის აღნიშნულ დათმობაზე წასვლა დანებების და სუვერენიტეტის დათმობის ტოლფასი გახლდათ, რითაც ის მის პოლიტიკურ გავლენებს საბოლოოდ დაკარგავდა. ხოლო, ვინც ფუჯის კარგად იცნობდა, იცოდა ისიც, რომ მისთვის მთავარი სწორედ აღნიშნული გავლენების შენარჩუნება გახლდათ...

... ვფიქრობ, ტერორისტებმა შეცდომა დაუშვეს, რაც 400 პატიმრის გათავისუფლებასთან დაკავშირებული სიის გადაგზავნას გულისხმობდა.

აღნიშნულმა ქმედებამ პერუს ხელისუფლებასთან ტერორისტულ ორგანიზაციას პოზიციური ვაჭრობის შესაძლებლობა შეუზღუდა. არ ვფიქრობ, რომ ფუჯიმორი ოდესმე დათანხმდებოდა აღნიშნულ მოთხოვნას, თუმცა მათ ფუჯის საშუალება არ მისცეს დათანხმებოდა თუნდაც ორგანიზაციის რამდენიმე წევრის გათავისუფლებას. წარმოიდგინეთ სცენარის მსგავსად განვითარება ამერიკის შეერთებულ შტატებში. არც ერთი პრეზიდენტი არ დათანხმდებოდა 400 ტერორისტი მებრძოლის ციხეებიდან გათავისუფლებას რამდენიმე მაღალი რანგის დიპლომატის სიცოცხლის სანაცვლოდ. მითუმეტეს რომ, მსგავსი რამე არ მოხდებოდა პერუში არსებული დემოკრატიის და ფუჯის ჯიუტი ხასიათის პირობებში. ამრიგად, „მოლაპარაკებების“ პარალელურად ფუჯიმორი კონსულტაციებს გადიოდა მის სამხედრო მეთაურებთან და ისრაელიდან პერუში საგანგებოდ გაგზავნილ უსაფრთხოების ოფიცრებთან...

... კონსულტაციების საფუძველზე, გადაწყდა საიდუმლო გვირაბის გაყვანა რეზიდენციის ქვემოთ, რაც თვეები გაგრძელდა. გვირაბის გაყვანით განპირობებული ხმაურის გადაფარვის მიზნით, პერუს სამართალდამცავი ორგანოები მუდმივ რეჟიმში მაღალ ხმაზე ამუშავებდნენ საყვირებს. გვირაბის გაყვანის შემდეგ, სპეცსამსახურებმა ასაფეთქებელი მოწყობილობა რეზიდენციის მისაღები ოთახის ქვემოთ, ქვედა ოთახის ჭერზე მიამაგრეს. ამ და სხვა ადგილებში დეტონაციის შემდეგ, სამხედროები რეზიდენციაში შეიჭრნენ, სადაც ორმხრივი ცეცხლის შემდეგ, გაათავისუფლეს ყველა მძევალი, გარდა უზენაესი სასამართლოს ერთი გარდაცვლილი წარმომადგენლისა...

... როგორც შემდგომ გავიგე, 126-დღიანი ალყის დროს, რამდენიმე თავდამსხმელს ერთგვარი ანომალიური სტოკჰოლმის სინდრომი განუვითარდათ - დაუახლოვდნენ მძევლებს და უარს ამბობდნენ ბრძანებების შესრულებაზე. რამდენიმე თავდამსხმელი იატაკის აფეთქებას ემსხვერპლა, მისაღებ ოთახში ბურთით თამაშის გამო. ტყვეების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელმა ორმა თავდამსხმელმა უარი თქვა რეზიდენციაში სპეცრაზმის შეჭრის შემდეგ, მძევლების დახოცვაზე. ყველაფერი ძალიან სწრაფად, რამდენიმე წუთში დასრულდა...

... ფუჯიმორის რისკი გამართლებული იყო. მძევალთა კრიზისის დროს, 126 დღის განმავლობაში, მთელი ქვეყანა თითოეულ მომენტს გულდასმით აკვირდებოდა. ხელისუფლება პარალიზებული იყო. წარმოიდგინეთ, საზღვაო ბრიგადის უფროსი, ქვეითთა ბრიგადის წარმომადგენლები, მინისტრები და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, ყველა ერთად იმყოფება ტყვეობაში...

... ასეთ დროს, ფუჯიმორის მიერ სადავეების ხელში წარმატებით აღება თამამ ნაბიჯს წარმოადგენდა. თუმცა, საგულისხმოა, რომ როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიტყვეს ამერიკული დიპლომატიური კორპუსის 12 წევრის ტყვეობის შესახებ, მყისიერად ჩამოყალიბდა კრიზისის სამოქმედო ჯგუფი. ვფიქრობ, მსგავსი ხარისხის კოორდინაცია ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დამსახურებაც არის, რომლის ორგანიზაციამ, საშუალება მისცა სამუშაო ჯგუფს, სწრაფი რეაგირება მოეხდინა პროგრესირებად კრიზისზე...

... სამუშაო ჯგუფის ყველა წევრი მაღალი კომპეტენციის და მტკიცე ხასიათის მატარებელი გახლდათ, რასაც საბედნიეროდ, ხელი არ შეუშლია უწყებათშორისი თანამშრომლობისა და სწრაფი გადაწყვეტილების მიღებისთვის. 4 თვის და 10 დღის განმავლობაში აღნიშნული ჯგუფი აკეთებდა ყველაფერს ამერიკის შეერთებულ შტატებში ტყვეების უვნებელი დაბრუნებისთვის...

... რამდენადაც ვიცი, ტერორისტების შესაძლებლობა კომუნიკაცია ჰქონოდათ გარე სამყაროსთან მინიმალური იყო. ეს პერუს ხელისუფლების მიერ მათი გარე სამყაროსთან ყველანაირი კომუნიკაციის არიდებას გულისხმობდა. აღნიშნული ხელს უშლიდა ამარუ ტუპაკის სახელობის რევოლუციური მოძრაობის მებრძოლებს სწორად შეეფასებინათ არსებული ვითარება და მათი მდგომარეობა...

... ლორი ბერენსონის ცხოვრებით, მისი დაკავებიდან ცოტა ხნის შემდეგ დავინტერესდი. მან მასაჩუსეტსის ტექნოლოგიის უნივერსიტეტში სწავლა მეორე კურსზე შეწყვიტა. სავარაუდოა, რომ ლორის რადიკალიზაცია ელ სალვადორში,

შვებულების დროს, ერთ-ერთი პარტიზანის ოჯახში დარჩენის დროს მოხდა. შემდგომ, როგორც ვიცი, მან ერთ-ერთ ნიკარაგუელ სანდინისტასთან დაიწყო ურთიერთობა. საინტერესოა, რომ ლორი ბერენსონი 1989 წელს ელ სალვადორში ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნული განმათავისუფლებელი ფრონტის (FMLN) ხელმძღვანელის მდივნის როლს ასრულებდა და ტერორისტული ორგანიზაციის ელ სალვადორის ხელისუფლებასთან სამშვიდობო მოლაპარაკებების შეხვედრებს ესწრებოდა. ჩვენ აღნიშნულის მხოლოდ 1995 წელს, მისი დაკავების შემდეგ გავიგეთ...

... მართებული იქნებოდა გვეფიქრა, რომ ელ სალვადორში მისმა აქტივობამ გზა გაუკვალა ლორი ბერენსონს, რამაც საბოლოო ჯამში მას პერუში ტუპაკ ამარუს სახელობის რევოლუციური მოძრაობის წევრის სტატუსი მოუპოვა. საგულისხმოა, რომ სამხრეთ ამერიკაში მსგავს დაჯგუფებებს შორის ძალიან მჭიდრო კავშირები არსებობს. ისინი ერთმანეთს ეხმარებიან. მახსოვს ელ სალვადორში მუშაობისას შევიტყვე რამდენიმე პერუელის შესახებ, რომელიც ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნულ განმათავისუფლებელ ფრონტს (FMLN) შეუერთდა...

... ლორის მშობლები წუხდნენ მისი დაკავების შესახებ. რამდენადაც მახსოვს მისი მამა სტატისტიკის, ხოლო დედა - ფიზიკის პროფესორი იყო ნიუ-იორკში. მათ ორჯერ შევხვდი. მშობლები უარს ამბობდნენ დაეჯერებინათ, რომ მათი ქალიშვილი ტერორისტულ ორგანიზაციასთან იყო დაკავშირებული. შესაძლოა, მათ დღემდე არ სჯერათ ამის. მათი აზრით, ლორი უბრალოდ დაჩაგრულ და ღარიბ ხალხს ეხმარებოდა...

... ბერენსონის დაკავებამ ამერიკის შეერთებულ შტატებში საპროტესტო მოძრაობას და სამოქალაქო მოძრაობას ჩაუყარა საფუძველი, „თავისუფლება ლორის“ (ინგ. „Free Lori“) სახელით, რომელსაც, ჩემი ვარაუდით, ლორის მშობლები ედგნენ სათავეში. ლორის დედ-მამა ხშირად ჩადიოდნენ პერუში, იანამაიოს ციხეში შვილის სანახავად. ჩვენი თანამშრომლები ლორის მედიკამენტებით და საკვებით უზრუნველყოფდნენ, რომლებსაც იგი საბოლოო ჯამში სხვა რევოლუციონერებს უზიარებდა. მიუხედავად ციხის შორეული

ადგილმდებარეობისა, რაც საშუალებას არ აძლევდა მის მშობლებს ხშირად მოენახულებინათ შვილი, ლორიმ იანამაიოს ციხე თავად შეარჩია, რადგან მისი შეყვარებული და 2003 წლის ოქტომბრიდან მისი მეუღლე, აპარი სანჩეზი, იმავე ციხეში იხდიდა სასჯელს. ორსულობით გამოწვეული ხერხემლის პრობლემის გამო, ლორი დათანხმდა უკეთესი პირობების მქონე ციხეში გადასვლას...

... მიუხედავად იმისა, რომ ლორის გამოშვების მიზნით, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება წნეხის ქვეშ ამყოფებდა ოფიციალურ ლიმას ლორის გამოშვების მოთხოვნით, პერუში ჩასული ტერორისტული ორგანიზაციის მხარდამჭერი უცხოელები, ადგილობრივთა შორის დიდი ემპათიით არ სარგებლობდნენ. გასათვალისწინებელია ფუჯიმორის მტკიცე ხასიათიც, რომელზეც ამერიკული წნეხი ნაკლებად მოქმედებდა...

... ჩვენი, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია ბერენსონის მიმართ უცვლელი იყო. განურჩევლად იმისა, თუ რა ჩაიდინა მან, ლორის, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეს, სრული უფლება ჰქონდა მიეღო დახმარება. ამიტომ, ჩვენ იგი სასამართლოზე საკონსულოსთან დაკავშირებული ადვოკატით უზრუნველვყავით. ჩემი პერუში მუშაობის პერიოდში, ჩვენი კონსული მას ყოველთვე სტუმრობდა ციხეში... კონსულთან საუბრიდან ვიგებდი, რომ მისი ერთგულება რევოლუციური მოძრაობის მიმართ უცვლელი რჩებოდა...